

# THE FUCKUP BOOK

შარტონის ისტორიები

ინგლისურიდან თარგმნა ქეთი გოგოძემ

## პროლოგი.

„ჩვენ არ გვსურს, მარცხთან ასოცირებულნი ვიყოთ“ – სწორედ ეს გვიპასუხა ზოგიერთმა ადამიანმა რეალობის უარყოფის მცდელობის გამო. როგორც ჩანს, ისინი ფიქრობენ, რომ თუკი თავს მოვიკატუნებთ, თითქოს ყველაფერი კარგადაა და შემაცბუნებელ თემებზე საუბარს თავს ავარიდებთ, სამყარო უკეთესი გახდება.

როგორი მცდარი აზრია. რეალურად სამყაროში ყველაფერი სრულიად სხვაგვარადაა. თუკი ჩვენ არასრულყოფილებასა და მარცხს გავითავისებთ, თუკი მათ რეალურ სახელს დავარქმევთ და მათზე ღიად ვისაუბრებთ, სამყარო უკეთესი გახდება.

ჩემი ნათქვამის დასადასტურებლად დავინყებ იმის გამხელთ, რომ მე თავად ვარ მარცხი. რამდენიმე წლის წინ დავინყე ბიზნესი, რომელმაც არ გაამართლა და, როგორც ხშირად ხდება, იმედი ბევრ ადამიანს გავუცრუე, მათ შორის, ჩემს ინვესტორებს, კოლეგებს, ჩემი ოჯახის წევრებსა და ჩემს თავსაც კი.

წლების განმავლობაში ვმალავდი ჩემს წარუმატებლობას საუბრებსა და რეზიუმეში, ერთხელაც, 2012 წლის ერთ-ერთ საღამოს (რომელმაც ჩემი ცხოვრება შეცვალა), როდესაც ოთხი წარუმატებელი და არაფხიზელი ადამიანის გარემოცვაში აღმოვჩნდი, მივხვდი, რომ სულაც არ გახლდით ერთადერთი ადამიანი, რომელმაც მარცხი განიცადა.

და ნება მომეცით, ყველა იმ ადამიანის გასაგონად ვთქვა, ვისაც მარცხთან ასოცირების ეშინია – ეს გლობალური წარუმატებლობის მოძრაობა წარმატებაა.

### ლექსია გასკა

ექვსი წლის წინ მე და ჩემმა მეგობარმა, რომელიც ჩემსავით გატაცებულია სხვა კულტურაში თავის დაკარგვით, მოვანყვეთ გიჟური მოგზაურობა ჰავანაში, ჰემინგუეის სტილში. სიმართლე გითხრათ, თავი 100%-ით არასოდეს დავგიკარგავს, მაგრამ ამ მოგზაურობამ ჰავანის კლუბის სულისჩამდგმელს შეგვახვედრა. მან გაგვიზიარა, რომ წარუმატებლობის შიშის ან უფრო უარესი, იმ ცვლილებების შიშის გამო, რომელიც წარმატების მიღწევისთვის საჭირო იქნებოდა, დროთა განმავლობაში ადამიანები თავიანთ ოცნებებს ივინყებენ.

დღეს ამ მოხუცი ადამიანის სიტყვები ექოსავით თან სდევს ყველა იმ ადამიანის ისტორიას, რომელსაც Fuckup Nights-ზე ვისმენთ. საკუთარი წარუმატებლობის გამოცდილების შესახებ

ფიქრისას იმაზე ვბრაზდები, რომ ეს ბრძნული სიტყვები მკერდზე არ ამოვისვირინგე. იქნებ ჩემი წარუმატებლობის ამბავი სრულიად სხვაგვარად შემოტრიალებულიყო. იქნებ, ფეხზე დადგომის შიში დამემარცხებინა და პირველი მარცხის შემდეგ კვლავ მეცადა, ან შეუპოვრობა გამომეჩინა, გადამელახა მეორეული დაბრკოლებები და დღეს იქნებ არ შემშინებოდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც, ვიმედოვნებ, აუცილებელია საბოლოო წარმატების მისაღწევად.

### ხულიო სალაზარი

წარმატების მსგავსად, მარცხიც არ არსებობს. მარცხი სუფიური ზღაპარივითაა, რომელიც ამბობს: „წარმატება თუ წარუმატებლობა. ვინ იცის?“ – და რომელშიც სამწუხარო მოვლენებს თქვენთვის გარკვეული სარგებელი მოაქვს და უბედურ შემთხვევად აღქმული, საბოლოოდ უფრო დიდი უბედურებისგან გიხსნით. მაგრამ ამის შემდეგ რა არის მნიშვნელოვანი? მნიშვნელოვანია რაღაცის კეთება. უნდა აკეთო ის, რაც მოგნონს და ეს განუწყვეტილად უნდა აკეთო. მე არ ვსაუბრობ ახირებებისა და კაპრიზების, ხუმტურების შესრულებაზე. მე ვსაუბრობ იმაზე, რომ საბოლოოდ უნდა შეგეძლოს თქმა: „მე ჩემი პირობებით ვიცხოვრე და ის ვაკეთე, რისი კეთებაც მინდოდა მაშინაც კი, როცა ცხოვრება ამაში არ მეთანხმებოდა“. და, რაც მთავარია, უნდა შეგეძლოს ამის კეთება. მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია ის, რომ შეგეძლოს იმედგაცრუების შემდეგ გამოცოცხლება და ძალების აღდგენა.

მე მაინტერესებს სპიკერების პირადი, მტკივნეული, ინტიმური პერსპექტივა.

იმ უხერხულობებით, რომლებსაც ჩვენი შეცდომები გვიქმნის, შეგვიძლია ვისიამოვნოთ ან მარტოობაში ვიტანჯოთ. მაგრამ გახსოვდეთ, რომ მარცხის მონსტრი სწორედ მარტოობისგან იკვებება. სიახლოვე ინტიმურობის კიდევ ერთი ფორმაა და ეს სწორედ ისაა, რასაც მე Fuckup Nights-ის მსვლელობისას განვიცდი: სიახლოვე, გარკვეული სახის სითბო, როდესაც იდეალური უცნობი ჩემს შეცდომებსა და სისუსტეებს მივსალმება.

### ლუის ლოპეს დე ნავა

როდესაც TED Talk-ზე (აბრევიატურა სიტყვებისა: ტექნოლოგიები, გართობა და დიზაინი/პროექტირება) Fuckup Nights-ზე სასაუბროდ მიმიწვიეს, თავში სწორედ იმ აზრმა გამიელვა,

რომელსაც ჩემი ბევრი მეგობარი ამბობდა: „ჩვენ ანტი-TED ვართ“.

სასაუბრო თემებიდან დაწყებული, უშუალოდ დამთავრებული, ცნობილი მომხსენებლების ნაკლებობიდან დაწყებული, ეგოს განადგურებით დამთავრებული, ჩვენ ვართ მოძრაობა, რომლის სასაუბრო ენა სულაც არ არის საყვარელი.

ეს იდეა სპიკერების მწვრთნელთან საუბრისას განმიმტკიცდა. TED Talk-ის ტაქტიკა საუბრის დასაწყისშივე შთაბეჭდილების მოხდენა იყო – ტიპური პასიურ-აგრესიული ტაქტიკის გამოყენება, როდესაც აუდიტორიას არწმუნებ იმაში, რომ შენ მასზე მეტი იცი.

თავდაპირველად ჩვენ ყოველგვარი ავტორიტეტი დავკარგეთ. როდესაც მოძრაობამ ზრდა დაიწყო, მეგობრები გვეუბნებოდნენ, რომ სამთავრობო სტრუქტურებში სახელის რეგისტრაციისას, საბანკო ანგარიშის გახსნისას ან სპონსორებთან ურთიერთობისას პრობლემები შეგვექმნებოდა. ეს მართალი იყო. არაერთმა პროტენციურმა სპონსორმა გადაწყვიტა სახელის გამო პროექტზე უარის თქმა; თუმცა ჩვენ მყარად ვიდებთ, რადგან ამას საზოგადოებისთვის ვაკეთებთ და არა ზოგიერთი პროტენციური სპონსორისთვის, რომელსაც ამა თუ იმ პროექტში მხოლოდ წარმატების გამო სურს მონაწილეობის მიღება.

ბევრ TED-სპიკერს წარმატება დასავლური გაგებით ესმის. ისინი გეუბნებიან, რომ მეტი უნდა იმუშაოთ და გქონდეთ გეგმა. მეგობრების ყოველთვიურ თავშეყრას, სიცოცხლა და ლუდის დალევას მიძიმე სამუშაოდ არ აღიქვამენ.

სხვა დიდი გურუები გასწავლიან, რომ იმის მისაღწევად, რაც ადამიანებს ალაფრთოვანებთ, მეტი უნდა იოცნებოთ. როდესაც ეს საქმე დავინწყეთ, ჩვენს უდიდეს ოცნებას 20 მეგობრის შეკრება, გასართობად წასვლა და მათი წარუმატებლობის შესახებ ისტორიების მოსმენა წარმოადგენდა. ამას კი ერთი და იმავე ოცნების მქონე ათასობით გიჟის გაერთიანება მოჰყვა.

ყველას სურს, რაღაცის ნაწილი იყოს. ყველას სურს, წარმატებულ ადამიანად ჩაითვალოს. საქმეც ესაა – სწორედ ის ადამიანები არიან ყველაზე ნაკლებად კარგები, რომელთაც სურთ, რომ საუკეთესონი იყვნენ. შენ არ გსურს, იყო ადამიანი, რომელიც ბევრს ლაპარაკობს, მაგრამ მნიშვნელოვანს არაფერს აკეთებს. საიდუმლო ისაა, რომ ერთი ნაბიჯი უკან გადადგა, აქცენტი გააკეთო იმაზე და გააცოცხლო ის, რაც ნამდვილად ღირებულია; იმ შემთხვევაშიც კი, თუკი სხვა ადამიანებისთვის ეს სულელურად უღერს.

**პეპე ვილატორო**

ძალიან კარგად მახსოვს ის დღე, როდესაც Fuckup Nights-ის იდეა დაიბადა.

მეგობრებს ერთგვარი წვეულების იმპროვიზაცია გვექონდა We are Todos ტერასაზე; მუსიკა, ლუდი, გრილი და მწვადი. რამდენიმე კათხა ლუდის შემდეგ მესკალის დალევაზე გადავედით და სწორედ ამ დროს დაიწყო სერიოზული საუბრები.

სანამ მარცხის თემამდე მივიდოდი, ხან ერთ თემას მივედ-მოვედე, ხან – მეორეს.

იმ საღამოს მე, ლეტი, ხულო და პეპე ვესწრებოდით. სწორედ მათთან ერთად ვიმუშავე პროექტზე, რომელიც ყველა ჩვენგანისთვის მარცხით დასრულდა.

შეკრებაზე მისულს რომელიღაცამ, შეიძლება ხულომ, მითხრა:

– ჩარლი, რას ფიქრობ? მარცხისთვის მიძღვნილი ღონისძიება ხომ არ მოგვეწყობ?

– მოიცადე, რა? – ვუპასუხე.

– ჰო, და მას Fuckup Nights უნდა ერქვას.

არაადეკვატურობის თავიდან ასაცილებლად მოგვიანებით შეხვედრა და თემის უფრო ფხიზელ მდგომარეობაში განხილვა გადაწყვიტეთ. ერთი კვირის შემდეგ შევხვდით La Nacional-ში, ადგილობრივ მესკალერიაში, სადაც ლუისი, ჩემი მეგობარი და ბიზნესპარტნიორიც, წავიყვანე.

შეუუკვეთეთ სასმელი. ვილატამ, არ მახსოვს, ვინ (ალბათ, ლეტიმ), იდეა შემოგვთავაზა: იმის გამოსარკვევად, იმუშავენდა თუ არა ამ საკითხზე საუბარი საზოგადოებაში ისე, როგორც ჩვენ გვსურდა, თითოეულ ჩვენგანს თავისი მარცხის შესახებ ისტორია უნდა გაეზიარებინა.

ამას ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ინსპირაციული, ინტიმური და მხიარული საუბრები მოჰყვა.

თითოეულ ჩვენგანს საკუთარი მარცხის ისტორიების ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ხედვა და აღქმა ჰქონდა.

ერთი ამბის მოსმენისას სიკვდილამდე იცინოდი, მეორის მოსმენისას ტირილი გინდებოდა, ხოლო ზოგიერთი ნამდვილ პროფესიულ გაკვეთილს ჰგავდა.

ფიქრობ, ამ გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ რაც უნდა მომხდარიყო, გავერთობოდით მაინც. სწორედ ასე გადაწყვიტეთ იმავე ტერასაზე ორი კვირის შემდეგ Fuckup Nights-ის დაწყება, რომლის ერთადერთი წესი სიმარტივე იყო.

**კარლოს ზიმბრონი**